



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო კ მ ი N14

ქ. მარნეული

14.08.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, გივი ქველაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, სადრადინ ტალიბოვი, რაფიკ მუსაევი, ქამილ ალიევი, ისმაილ ბაირამოვი, რამიზ გიულმამედოვი, ლევონ აკოპიანი, რაგიმ ასკეროვი, რუსტამ ფაშაევი, რაფიკ ჯაფაროვი, აგილ ფაშაევი.

არ ესწრებოდა:

- ვანო ბურნაძე, ლერი მუმლაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ლევონ აკოპიანი, აიდა ხაჩიკიანი, სულეიმან ხალილოვი, მამედ მამედოვი, მახირ იუსუბოვი, ელხან მუფტიევი.

სხდომას ესწრებოდა

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: ქვემო ქართლის ტელევიზიის და „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის განცხადების განხილვის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 14 აგვისტოს N03/9815 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეთიკისა და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 აგვისტოს N03/9682 წერილი და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ასევე ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე ითხოვა ცნობად იქნეს მიღებული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მერაბ თოფჩიშვილისათვის 2017 წლის 12 აგვისტოდან მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი, ხოლო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის არჩევამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის უფლებამოსილებას განახორციელებს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსმა ბესო ნიჭატაძემ გააკეთა განმარტება იმის შესახებ, რომ საჯარო სამსახურის კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არის პროფესიული საჯარო მოხელე და ის ინიშნება უვადოდ, თუმცა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს უფლებამოსილება უწყდება გამგებლის უფლებამოსილების შეწყვეტისას. ვინაიდან იერარქიულად ორგანული კანონი უფრო მაღლა დგას, ვიდრე კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, უპირატესობა ენიჭება ორგანულ კანონს. ამ საკითხზე გავლილი იქნა კონსულტაცია საჯარო სამსახურის ბიუროსთან, რის გამოც მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის უფლებამოსილების შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 59-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება და კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად. (მიღებულია განკარგულება N67. 14.08.2017 წ)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეთიკისა და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო N22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს N78 წერილით შემოსული დოკუმენტაცია (რეგ. N240/05. 10.08.2017წ) მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის გიორგი შუკაკიძის ნაცვლად აგილ მუსტაფაევის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N69. 14.08.2017 წ)

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, გამგებლის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსთან ვუგარ მამედოვთან ერთად, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N27. 14.08.2017 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულებით დარჩენილი ეკონომია 25745,63 ლარი და 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულებით დარჩენილი ეკონომია 172054,90 ლარი, სულ – 197800,53 ლარი გამოყენებული იქნეს სადახლოს გზის რეაბილიტაციისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N68. 14.08.2017 წ).

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეთოთხმეტე რიგგარეშე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევია